

დიდი სახელმწიფო მცირე სახელმწიფოების პირისპირ, მოლაპარაკებები  
რუსეთთან

დიანა ბალარჯიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტარიელ სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2016

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დიანა ბალარჯიშვილი

\_\_\_\_\_

22.06.2016

## აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანია განსაზღვროს რამდენად წარმატებულია მოლაპარაკებების/მედიაციის პროცესი შემდეგ საერთაშორისო ფორმატებში: ჟენევის მოლაპარაკებები, მინსკი1, მინსკი 2 და კარასინი-აბაშიძის მოლაპარაკებები. რა ფაქტორები განსაზღვრავს ამ პროცესების წარმატება-წარუმატებლობას? *1. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ აღნიშნული პროცესები წარუმატებელია, იმიტომ რომ, ერთის მხრივ მოლაპარაკებების მაგიდასთან, მხარეებს შორის არსებული ძლიერი ასიმეტრია იწვევს მოლაპარაკებების ფორმატის ჩიხში შესვლას, ხოლო, მეორეს მხრივ ასიმეტრიულ მხარეზე ზეწოლის მექანიზმის არ არსებობა ხელს უწყობს მოლაპარაკებებისა და მედიაციის ფორმატის ჩიხში შეყვანას. 2. თუ მოლაპარაკებების მაგიდასთან ძალთა ბალანსი ასიმეტრიულია, პატარა სახელმწიფო იჩაგრება.* ნაშრომი ეყრდნობა მოლაპარაკებებისა და მედიაციის თეორიასა და მსოფლიოს პრაქტიკაში მსგავსი კონფლიქტების დარეგულირების შემთხვევებს. აღნიშნულის საფუძველზე შეფასდა მედიაციის ეფექტურობა ჩვენს მიერ შესწავლილ შემთხვევებში. დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მედიაციის პროცესი ჟენევის მოლაპარაკებებში, „მინსკი 1“ და „მინსკი 2“ შეხვედრების დროს არის თითქმის ნულოვანი შედეგის მომტანია. ამის განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს კონფლიქტის მხარეებს შორის არსებული ძალათა ასიმეტრია, მოლაპარაკებების მაგიდასთან ძლიერი მხარის მიერ ულვევი ბერკეტების ფლობა და მასზე ზეწოლის მექანიზმის ფაქტობრივი არ არსებობა ან არსებული ბერკეტების არაეფექტურობა. კვლევის პროცესში ჩატარდა ორი ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ, პირველი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ჟენევის მოლაპარაკებებზე საქართველოს მხარის დელეგაციის ხელმძღვანელთან, ბატონ დავით დონდუასთან და მეორე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელთან რუსეთის საკითხებში, ბატონ ზურაბ აბაშიძესთან. პირველმა ინტერვიუმ, ფოკუსირება მოახდინა ნაშრომში დასმულ საკვლევ კითხვაზე და გასცა მას პასუხი, აგრეთვე დაამტკიცა მეორე ჰიპოთეზა, რომ ძლიერი მხარის არსებობა მოლაპარაკებების მაგიდასთან, რომელზეც არ არსებობს

ზეწოლის მექანიზმი იწვევს მოლაპარაკებების ფორმატის ჩიხში შეყვანას. მეორე ინტერვიუმ, გაამყარა კვლევაში მოყვანილი ჰიპოთეზა, რომ ასიმეტრიული მოლაპარაკებების დროს, პატარა სახელმწიფო უფრო ხშირად იჩაგრება, ხოლო წარმატებას აღწევს უმნიშვნელო ასპექტებში.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** მოლაპარაკებები, მედიაცია, ასიმეტრიული კონფლიქტი, საქართველო, უკრაინა, რუსეთი.

## Abstract

The purpose of the research is to define how successful the mediation/ negotiation process is in the international formats of Geneva talks, Minsk1, Minsk2 and Karasini-Abashidze process. What are its determining factors? 1. We suppose that up mentioned processes are unsuccessful because, first of all huge asymmetry between negotiators leads negotiation process to deadlock and on the other hand, lake of pressure means on the asymmetrical power causes failure of negotiation/mediation processes. 2. If the balance of power is asymmetrical at the negotiating table, a smaller state is oppressed. The work is based on the negotiation/mediation theory And on regulation of similar conflicts in the world practices. On that base we estimated effectiveness of mediation process in our cases. In conclusion, we can say, the mediation processes in the Geneva talks, "Mink 1" and "Minsk-2" formats are ineffective and unsuccessful. The reason of this is power asymmetry between negotiation sides, the possession of huge levers of the powerful party and the virtual absence of levers or their ineffectiveness. During the survey, two semi-structured interviews were conducted with the Deputy Minister of Foreign Affairs of Georgia, the Head of Georgian delegation in Geneva International Talks, Mr. David Dondua and the Prime Minister's Special Representative on Russia, Mr. Zurab Abashidze. The first interview answers on the main question of our survey and proves the first hypothesis: existence of strong party in negotiation process, without pressure mechanisms on it, leads negotiations to an impasse. The second survey reinforced the second hypothesis, that during asymmetric negotiations, small states are more oppressed, but they can be successful in minor aspects.

**Key words:** negotiation, mediation, asymmetrical conflict, Georgia, Ukraine, Russia.

სარჩევი: